572
1965

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაც დავშორდით თბილისს,
გაიარა ხანმა.
ენგურჰესზე ვცხოვრობთ
მე და ჩემი მამა.

მსურს ხმა მივაწვდინო
ჩემს ძველ ამხანაგებს,
— მე ფრიადზე ვსწავლობ,
მამა კაშხალს აგებს.

1965 ივნისი

# დილა

№6



# საჩუქარი

ელიზარ ჯიჯიაძე

ნახატი თენგიზ სამსონაძისა

ნუგზარი დღეს ძალიან გახარებულია.

ყველამ, ყველამ, გიამ და მზიამ, ნანამ და რამაზმა, მალხაზმა და შოთამ საჩუქრები დაამზადეს პიონერებისათვის.

ჰოდა, ნუგზარი ახლოს არ გაიკარეს ეზოს ამხანაგებმა: შენ ჯერ პატარა ხარ, სკოლაშიც არ დადიხარ, საჩუქრის დამზადება სად შეგიძლიაო.

აბა, ვნახოთ, თუ არ შეუძლია!

ნუგზარს თეთრგულა მტრედი ჰყავს, მამამ მოუყვანა შარშან, როცა ნუგზარი ავად იყო. იქვე მეზობლად კი პიონერთა კლუბის ეზოში, უამრავი მტრედი ცხოვრობს. აი, სწორედ იქ მიიყვანს თავის თეთრგულას ნუგზარი.

ნუგზარი ოთახიდან გამოვიდა. მისი მტრედი აივანზე დასეირნობდა და იატაკზე საკენკს ეძებდა. ნუგზარი მოეფერა მტრედს, ხელში აიყვანა. ეზოში არავინ იყო, არც ქუჩაში ჩანდნენ ბავშვები. ნუგზარი პიონერთა კლუბისაკენ გაემართა.

კლუბის ეზო მტრედებს დაეფარა. თითქოს მინდვრის თეთრ ყვავილებს ქარი არხევსო. ნუგზარმა თავისი მტრედს აკოცა და დასვა. ორივეს ბიჭსაც და ფრინველსაც გამალებით უძგერდათ გული.

ჭიშკარში გამოსვლისას ნუგზარმა კიდევ ერთხელ მიჰხედა მტრედს და შინისაკენ მოკურცხლა.

ახლა ხომ დაიჯერებენ ეზოს ბავშვები, რომ ნუგზარსაც უყვარს პიონერები, რომ მასაც შეუძლია საჩუქრის გაკეთება! გახარებული იყო ბიჭი.

ეზოში კვლავ არავინ ჩანდა. ნუგზარმა დინჯად აიარა სახლის კიბეები, აივანზე შეაბიჯა და უეცრად გაკვირვებისაგან პირი დააღო: მისი მტრედი, ვითომც აქ არაფერიაო, მშვიდად დაგოგმანობდა აივანზე,—ისევ ძველ ბინაში დაბრუნებულიყო.

„სულელი,—გაიფიქრა ნუგზარმა,—ალბათ, არ იცის, რომ იგი დღეიდან ჩემი მტრედი აღარ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



ჟურნალ „დილას“ რედაქციას სტუმრად ეწვია ესტონური საბავშვო ჟურნალი

# TÄHEKE

„ტაჰეკე.“ ესტონელი მწერლები, პოეტები, მხატვრები და ბავშვები ქართველ ნორჩ მკითხველებს ჟურნალის ფურცლებიდან ულოცავენ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და სთავაზობენ თავიანთ ნაწარმოებებს.

ესტონური ლექსები, მოთხრობა და ზღაპარი თარგმნა ლეილა ერაძემ



2

1. ნახატი აკულოკესი, მე-4 კლ. მოსწავლე.
2. ლინოგრავიურა მაია პარისისა, მე-7 კლ. მოსწავლე.
3. ნახატი სიგნე კრენტრომისა, მე-4 კლ. მოსწავლე.




3



# ტაყურაჯრის ალბომი

ᲮᲝᲚᲒᲔᲠ ᲞᲣᲙᲘ

ნახატი ᲔᲓᲒᲐᲠ ᲕᲐᲚᲢᲔᲠᲘᲡᲐ

სკოლის ეზოს გარს ერტყა ტყე. ამ ტყეს მაღალი, ლამაზი ხეები ამშვენებდა. შეჯიბრების ჩასატარებლად სკოლიდან ვარსკვლავი ტყეში წავიდა. ოქტომბრელები თხილამურებზე სრიალში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— ტოივო სად არის? — იკითხა რიინამ.

ბავშვებმა მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ტოივო არსად იყო.

— ეს რაღა ვარსკვლავია, თუ ერთი ბიჭი აკლია! — შეწუხდნენ ოქტომბრელები.

— მერე, აქვე ახლოს მაინც არ ცხოვრობდეს! — თქვა რაივომ.

„იქნებ ავად გახდა და მოსვლა ვერ შეძლო“? — გაიფიქრა რიინამ.

ვარსკვლავი დაჰქროდა აღმა-დაღმა, ზევით-ქვევით... ბოლოს მალიან რომ დაიღალნენ, ისევ სკოლის ეზოს ესტუმრნენ.

— აქეთ მოდით, აქეთ! — მოიხმეს ოქტომბრელები პიონერებმა და ჩაითა და ტკბილეულით გაწყობილ მაგიდისაკენ გაუძღვნენ.

მაგიდასთან ვარსკვლავის ყველა წევრი იჯდა, არც ერთი ბავშვი არ აკლდა.

— შენ სად იყავი დაკარგული, ტოივო? — ჰკითხა ბიჭუნას რიინამ.

— ფანჯრიდან გიყურებდით, თუ



როგორ კოტრიალობდით თოჯლშიმაყურებელიც ხომ გინდოდათ! — თავი იმართლა ტოიჯომ.

— თუ მაყურებელი ხარ, მაყურებლის ადგილი აქ არ არის! — მიუგო რაიჯომ და ერთი ისეთი უთავაზა, რომ ტოიჯო თავის სკამიანად გადაკოტრიალდა. ბავშვებმა სიცილი დააყარეს.

ასე დარჩა ტოიჯო უსაუზმოდ, რადგან მაგიდასთან მაყურებლის ადგილი არ იყო.

ოლივია საარი

ნახატი ველი ხურგისა

# შეჯიბრება ჯუნგლებში

ტევა არ აქვთ მანქანებს,
მხოლოდ მძღოლებს ელიან,
ეს დათვია ბაჯბაჯა,
ის კი რუხი მგელია.
მოთმინება არ ჰყოფნით,
გული უძგერთ ძალიან,
აპარატი მაიმუნს
ხეზე აუტანია.



თეთრ ხალათში
რომ ხედავთ,
ექიმები არიან,
ჩანთით დაატარებენ,
ნემსებს, შუშებს
წამლიანს.
სტარტის დროა
ნამდვილად,
დილა არის მზიანი,

მსაჯი არის ჟირაფი
დინჯი, სამართლიანი.
ყიჟინა აქვთ ისეთი,
ყურთასმენა არ არის.
აი, შესხდნენ, დაიძრნენ,
მიწას გააქვს ზანზარი.

ეს ვინ მოჰქრის ქარივით,
რა სწრაფია, ვინ არის?
კურდღელია ყურცქვიტა,
სუყველაზე წინ არის.
არც მანქანა სჭირდება,
არც ხარი და ურემი,
თან მოჰყვება ნადირთა
ტაშის ცემა ულევი.
ლომიც ისე უყურებს,
როგორც დევგმირს იღბლიანს,
ლომთან რაა კურდღელი,
ერთი მუჭა ღინღლია.
და ხელს ართმევს ბაჭიას,
ყველა მხეცი უკლებლივ,
გამარჯვებას ულოცავს
ტყის სამეფო — ჯუნგლები.

ძილისგუდა

ჯემალ ჯანსუარი

ძილისგუდა ოჯოს ვინ არ იცნობს, ვინა! ხან ფეხსაცმლით წევს და ხან ფანსაცმლით სძინავს.

# ზღარბი და დათვი

ჩეხური ხალხური ზღაპარი



ნახატი ა. ვენდერისა

ზღარბი შორეული მოგზაურობიდან დაბრუნდა და დათვს მიაკითხა.

— შენს ბუნაგში ერთი პატარა კუთხე იქნებ ჩემთვისაც გამოძებნო, სიცივისაგან რომ არ გავიყინოო! — შესთხოვა ზღარბმა დათუნიას.

დათვს შეეცოდა ზღარბი და ბუნაგში შეიპატიჟა.

გავიდა რამდენიმე დღე. ზღარბი გათბა, მოღონიერდა, აიბურძგნა. ისე მოშინაურდა და გათამამდა, გეგონებოდათ, დათვი კი არა, ზღარბია მასპინძელიო.

— ჩემო ძვირფასო სტუმარო, — უთხრა ერთხელ დათვმა, — როგორც ხედავ, ჩემი ბუნაგი ვიწროა, ორივე ვერ ვეტევით, კარგი იქნება, თუ შენს გზას ეწევიო.

— მეც მაგას ვფიქრობ, — მიუგო ზღარბმა, — ამ ბუნაგში მარტო მშვენივრად მოვთავსდები. მოდი და, შენ წადი სხვაგანო.

დათვს უნდოდა, ზღარბისთვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ ზღარბმა ეკლები წამოჰყარა და დათვი ახლოსაც არ მიუშვა. რაღას იზამდა დათუნია, ადგა და ახალი ბუნაგის ძებნას შეუდგა.

ამაზე იტყვიან: გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო!



ნახატი ენე კოსისა

**სულ წოლა რომ უყვარს, სულ ძილი რომ უნდა.**

**დაუჯერებელი ვინმეა სიზარმაცის გუდა!**

# ჭავალა

ვალერიან ყუშიგაშვილი    ნახატი **ზურაბ რაზმაძისა**



იმედო მეზობლის ბიჭია. შვიდი წლის შემოდგომაზე გახდება. თავზე ნაბდის ქუდს იხურავს. მზე თავს რომ ამოჰყოფს, იმედო ლოგინიდან წამოდგება, საწოლს გაასწორებს, ეზოში ჩავა და ხელ-პირს დაიბანს; ისაუზმებს, გრძელტარიან წალდს ქამარში გაირჭობს, მხარზე კომბალს მოიგდებს და ბროლიასთან ერთად ახოებისაკენ გზას გაუყვება.

— ჭაბუკა, ეჰეი!—გზიდან გასძახა იმედომ.

თვალის დახამხამებაში ჭაბუკაც გზაზე გაჩნდა.

იმედო და ჭაბუკა ახოებისაკენ წავიდნენ. ბიჭებს წინა დღეს ხევში, რცხილაზე შაშვის ბუდე ენახათ, მუა დაეგოთ და მთელი ღამე მასზე ფიქრით გაეთენებინათ. დავიჭერთ, ბარტყებიანად სოფელში ჩამოვიყვანთ, გალიაში გავზრდით და მერე სკოლას გადავცემთო,—ფიქრობდნენ ბიჭები.

რა გამოვიდა, ზაქროს მათი ნახელავისათვის მიეგნო. ბუდე დაეშალა და ხეც მოეჭრა. საბრალო შაშვი სიმწრისაგან ბუმბულაბურძგნილი ტოტიდან ტოტზე დახტოდა.

ვინ იცის, იქნებ ზაქროსაც არ უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ მოხდა და... რა მოიგო? არაფერი. ამხანაგებიც დაარმდურა, მამაც გაუწყრა: ბუდე დაშალე, დაშალე და ხის მოჭრას რაღას ემართლებოდიო?

ბიჭებმა ზაქროს სოფლის ორღობეში უყვლეს. თითო სილა გასცხეს და მეველეს—სეხნიაანთ ანდრიას აცნობეს: ამა და ამ ადგილას ხე რომაა მოჭრილი, ზაქროს ნახელავიაო. მეველე ანდრია იმედოს ბიძაა. მგონი ოციოდე წელი იქნება, რაც შუამთის ტყეს პატრონობს, იმ არემარეზე უცხო ჩიტსაც კი არ გააჭაჭანებს.

— აი, ხომ ხედავ იმ მთას,—ერთ დღეს თითით ანიშნა ანდრია ძიამ იმედოს,—მას სახელად ცივგომბორის მთას ეძახიან. მისი კალთები და ხეობები სხვადასხვა ჯიშის ხეებითაა დაფარული.



— ძია, ტყეში წამიყვანე რა, მეც მინდა მეველე ვიყო,—შეეხვეწა იმედო.

— არა, შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ, ტყეში სიარულს ვაჟკაცის გული და მუხლი სჭირდება.

„მე პატარა ვარ? ტყეში სიარულს ვერ შევძლებ, თვალს ვერ დავიჭერ ხეებზე, რომ ზაქროსთანა ბიჭებმა არ მოჭრან?“ — ფიქრობდა შინისაკენ მიმავალი იმედო.

უკვდავების ხევი რომ აიარა და ხარაანთ მიწებში აურილ ჯეჯილებს გადახედა, სიბრაზისაგან სახე მოეღუშა. ჯეჯილს სოფლის ნახირი მოსდებოდა. იმედომ სახრე მოიმარჯვა, დაჭყვირა და ნახირი სახლისკენ გაირეკა.

— იმედო, ვისია, ბიჭო, ეს სამწყემსო?—დაბალ ხმაზე იკითხა პაპა ზურიამ.

— არ ვიცი,—უპასუხა იმედომ და საბძლის კარი ფართოდ გამოაღო ნახირის შესაბინავებლად.

— შვილო, ამ სიცხეში მშიერ-მწყურვალი პირუტყვის დამწყვდევა ცოდოა.

— არ მოვამშევ, პაპა, მინდვრიდან ბალახს მოვუტან, ძია ანდრიას ჭიშკართან დავხვდები და მოვუყვები, თუ როგორ დავიჭირე კოლექტივის ყანაში კუდვარდა ძროხები.

პაპა ზურია ყველაფერს მიხვდა. ბიჭს საქციელი შეუქო, მეორე დღეს კი შინდის კომბალი გამოუთალა და უთხრა:

— შენ ნამდვილი მეველე ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

# ღრუბლის საცერი



— წვიმა ცრის.
— რასა ცრის?
— წყალსა ცრის.
— რა საცრით?
— ღრუბლითო!
ღრუბლები ამბობენ:
— ყვავილებს ვუვლითო!



# გოგდი-გოგდი

ბუქნა-ბუქნა,
დაფა-ზურნა,
ათი თითი დაფაცურდა.
აბა, ფქვილი,
აბა, გუ[illegible]ა!
დიპლიპიტო აბაგუნდა.
აბა, ჭყინტო, აბა, ყველო!
აბა, ცოტა საფანელო!
ღველფზე კეცო, გოგდი-გოგდი,
ჩაჭაპურო, გადმოგორდი!

# ვაკაკუნეთ ბევრი

მე ფიცარი მქონდა,
ხერხი ვაჟას ჰქონდა;
ვაკაკუნეთ ბევრი,
გავაკეთეთ ცოტა.
ვხერხეთ, ვხერხეთ,
ჰოდა,
ავაშენეთ ოდა!



ნახატები ვაჟა მელიქიშვილისა

# თხა

რევაზ ჭეიშვილი



ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. სოფელში ერთ გლეხს თხა დაეკარგა. ბევრი ეძებეს, მაგრამ თხის ვერც ასავალი გაიგეს და ვერც დასავალი. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იპოვეს მონადირეებმა; მთაზე შეფენილ წაბლის ტყეში დანავარდობდა. სოფელში ამბავი ჩამოიტანეს:—ამა და ამ კაცის თხა აქა და აქ არისო.

გლეხს ძალიან გაეხარდა და მეორე დღესვე თხის დასაჭერად წავიდა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ თავისი თხა იპოვა. ვაცი ღელის პირას ბუჩქებში დაძვრებოდა და მცენარეების გემრიელ ყლორტებს ახრამუნებდა. გლეხმა დაუძახა, თხამ ქვევიდან ერთი ამოხედა.

პატრონი მიუახლოვდა, ვაცი მეორე ბორცვზე გადახტა; ახლა გვერდულად გახედა, ისე, რომ ჭამა არ შეუწყვეტია. გლეხი გაეკიდა, თხა გაიქცა და ხეზე აყოლილ სუროს დაუწყო წიწკნა.

პატრონმა როცა ნახა, არაფერი გამოვიდოდა, ქვა ესროლა, იქნებ შინისაკენ გავდენოო. თხა ფერდობზე ისარივით აიჭრა და თვალს მიეფარა.

ვაცი ადამიანს სათოფეზედაც აღარ იკარებდა. ერთი სიტყვით, გაგარეულდა.

მონადირეებმა პატრონს ურჩიეს: მოვკლათ, ჩამოვიტანოთ და ხორცი ცოტა ჩვენც გვარგუნეო.

გლეხმა იფიქრა:—ჩემი თხა სხვას რატომ უნდა ვუწილადო, თვითონ მე მოვკლავო. მაგრამ იმ თხის მოკვლა გლეხს კი არა, გამოცდილ მონადირეებსაც გაუჭირდებოდათ.

გავიდა ხანი. დადგა შემოდგომა. აცივდა. სადაც იყო მოთოვდა კიდეც. მშიერი მგლები მალე სოფელს მოადგებოდნენ. ან ისინი გაატყავებდნენ თხას, ან სიცივე და თოვლი მოუღებდა ბოლოს.

მონადირეებმა მოილაპარაკეს და პატრონის დაუკითხავად ტყეში წავიდნენ. თხა მოკლეს და სოფელში ღამით ჩამოვიდნენ. ხორცი გაიყვეს. კარგი ნაჭრები ახლომახლო მეზობლებსაც დაურიგეს. სამწვადეები ცალკე ააჭრეს და იმ ღამეს გათენებამდე იქეიფეს. აპრეხილი, პატარა ლამაზი კუდი ღელვის ფოთლებში შეახვიეს და დილით ადრე პატრონს მიართვეს.

ამის შემდეგ გავრცელდა ეს ანდაზა: «თხის პატრონს—თხის კუდიო!»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატატი ზურაბ ფორჩხიძისა




მორის ფოცხიშვილი

ვინ გამასწრებს სირბილში,
ვინ მაჯობებს, ვინ?
— ერთი, ორი, სამი...
— ყურადღება!
— წინ!

ვინც ქარივით მალია,
გაიმარჯვებს ის.
რა მოსვლია დათუნას!—
მობაჯბაჯებს ძლივს.

იცით, რისი ბრალია,
რომ ვერ ადგამს ფეხს?—
ზარმაცია ძალიან,
გვიან ადგა დღეს.

„ვესიოლიე კარტინკიდან“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გოლიავკინი



# სწორია

— შენ ისევ ჭამ გაკვეთილზე?
ნანამ საუზმე სწრაფად დამალა მერხში.

— რა გამოვა,—ყველამ რომ გაკვეთილზე ისაუზმოს?—თქვა მასწავლებელმა.

კლასი ახმაურდა. ყველას უნდოდა ეთქვა, რა იქნებოდა, მთელ კლასს რომ გაკვეთილის დროს ეჭამა.

შალვამ თქვა:

— ძალიან სასაცილო იქნება!

რეზომ თქვა:

— ღეჭვა იქნება.

ლალიმ თქვა:

— ყველა მაძღარი იქნება.

— აბა, ახლა ეს მითხარით, რა არ იქნება?—იკითხა მასწავლებელმა.

კლასი დუმდა.

ის-ის იყო, მასწავლებელს თვითონ უნდა გაეცა პასუხი, რომ ვილაცამ იყვირა:

— გაკვეთილი არ იქნება!

— სწორია!—თქვა მასწავლებელმა.

თარგმნა ზურაბ ლეშკაშელმა





### ბუნების კარი

# კანარული ჩიტი



ივანე ფანჯიკიძე

ბავშვებო, ალბათ ბევრ თქვენგანს ჰყავს მოყვითალო, მგალობელი ჩიტები. ამ ჩიტებს კანარული ჩიტები ჰქვია.

კანარული ჩიტი ევროპაში პირველად ესპანელებმა ჩამოიყვანეს შორეული კანარის კუნძულებიდან. ჩიტს თავისი სამშობლოს სახელი დაარქვეს.

კანარული ჩიტი გალიაში თავს ძალიან კარგად გრძნობს. უნდა შევუყაროთ ბამბის ქსოვილის მოკლედ დაჭრილი ძაფები. ჩიტი ბუდეს გაიკეთებს და შიგ კვერცხებს ჩადებს. 14 დღის შემდეგ ბარტყები გამოიჩეკებიან.

კანარული ჩიტი ზაფხულობით ბუმბულს იცვლის. მაშინ იგი კარგად უნდა გამოვკვებოთ. სუფთა წყალში ხანდახან ერთი-ორი წვეთი ღვინოც კი შეიძლება ჩავუროთ. ბუმბულის ცვლის დროს ჩიტი ცოტას გალობს, ან სულ წყვეტს გალობას. თუ ბუმბულის ცვლა წლის სხვა დროს დაიწყო, ეს უკვე ჩიტის ავადმყოფობის ნიშანია.

კარგად მოვლილი ჩიტი მთელი წლის განმავლობაში გალობს. საერთოდ გალობენ მამალი ჩიტები. მხოლოდ ისინი აუცილებლად ცალცალკე უნდა გვყავდეს გალიაში, თორემ დედალთან ერთად თუ მოვათავსეთ, გალობას შეწყვეტენ.



კანარული ჩიტი ერთი წლის ასაკიდან იწყებს გალობას. ჩიტმა რომ სასიამოვნოდ და კარგად იგალობოს, „მუსიკალური განათლება" უნდა მიიღოს. ორი-სამი წლის ასაკამდე ჩიტი უნდა მოვარიდოთ ცუდი გალობის მოსმენას, თორემ იგი ძალზე მიმბაძველია და ცუდ გალობას მიეჩვევა. ამიტომ წამოჩიტულ ბარტყს კარგ მგალობელ მამალ ჩიტს „მიაბარებენ" ხოლმე. მგალობელი ჩიტის გალიას წამოჩიტული ბარტყების გალიების გვერდით მოათავსებენ. სულ მალე მასწავლებლის ხმაზე პატარებიც აჰყვებიან.

კანარული ჩიტების „მუსიკალური აღზრდა" ფირფიტებითაც შეიძლება. ფირფიტის ხმას პატარა ჩიტიც აჰყვება ხოლმე.

კანარული ჩიტის დღიური ულუფა ერთი ჩაის კოვზი სხვადასხვა თესლის ნარევია. ხანდახან დამატებით შეგვიძლია მივცეთ მოხარშული და წმინდად დაკეპილი კვერცხის გული, წიწმატი, სალათა, გახეხილი სტაფილო, ვაშლი და მხალი.

ჩიტი არ უნდა გავასუქოთ, თორემ იგი გალობას შეწყვეტს და არც გამრავლდება.

კანარულ ჩიტს გალიაში სუფთა ქვიშა უნდა დავუყაროთ, სასმელი წყალიც ყოველდღიურად გამოვუცვალოთ; გალიაში მოვუწყოთ პატარა აბაზანა,—ამ ჩიტუნას დილაობით ძალზე უყვარს ბანაობა.

გარეული კანარული ჩიტი მოყვითალო-მომწვანო ფერისაა. შინაური—თეთრი, წითელი, ლიმონისფერი, ნარინჯისფერი, მწვანე და ჭრელიც კი გვხვდება.

ბავშვებო, ვისაც გალობის მოსმენა გიყვართ, მოუარეთ და გამოზარდეთ კანარული ლამაზი ჩიტუნები.

ნახატები გაიოზ ფოხიშვილისა

9750



# წითელქუდა ტყუპისცალი

ოთარ შალამბერიძე

მეხეთ, მეხეთ, თუ იცანით,
გიგა—ჩემი ტყუპისცალი?
მე რაც მინდა, გიგას უნდა,
მე რაც მიყვარს, გიგას უყვარს;
— რა ვქნა, ტყუპისცალი ვარო,—
ერთხელ ასე მიპასუხა.

მამამ ქუდი რომ მიყიდა
თბილი, სიფრიფანა,
რა გგონიათ, ჩემს ტყუპისცალს
გაუხარდა განა?

განზე გადგა, გაიბუტა,
სულ ტირილით გაიგუდა:
— მეც მიყიდეთ, მეც მიყიდეთ,
მეცა ვარო წითელქუდა!—

სულ არ ესმის, სულ არ იცის,
მე გოგო ვარ, ის კი ბიჭი.
კინოებში, ცირკში, ბალში,
სადაც წავალ, თან დამყვება
გუშინ კინოსტუდიაში
არ მაცალა გადალება.
მეხეთ, მეხეთ, თუ იცანით,
ჩემს გვერდით რომ გაბუტულა;
გიგას განა ტყუპისცალი,—
უნდა ერქვას წამხედურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები გიორგი როინიშვილისა



## ციცქნა გოგო

**ცირა ქიტიაშვილი**

ციცქნა გოგო პაწაწინა
აღარ ტირის, როგორც წინათ.
თოჯინები დააწვინა,
მზია, ტატა, ნუნუ, თინა.
მიალაგა მერე ბინა
და თვითონაც დაიძინა.



## ტყეში

მე და ჩემი ამხანაგები—ნაილი და ლილი ტყეში წაბლის ასაკრეფად წავედით. წაბლი ძირს ბევრი ეყარა. დავიწყეთ აკრეფა. ისე გავერთეთ, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის ყურადღება აღარ მიგვიქცევია. როცა შორს წავედით, მოვიხედეთ უკან და ნაილი აღარ ჩანდა. ძალიან შეგვეშინდა და აღარ ვიცოდით, რა გვექნა. წაბლით სავსე ჩანთები იქვე დავყარეთ და ნაილის დავუწყეთ ძებნა. ბევრი სიარულის შემდეგ მივაგენით. იგი ხის ძირას იჯდა და მწარედ ტიროდა. ნაილის ნახვით გახარებულებმა ახლა წაბლით სავსე ჩანთის საძებრად გავსწიეთ, მაგრამ ჩანთები ველარ ვიპოვეთ. შინ მაინც მხიარულად დავბრუნდით.

ქეთევან გაჩეჩილაძე
ზესტაფონის რაიონის
სოფ. წევის რვაწლიანი სკოლის მოსწავლე.



## გოჩა

**ნუნუ ლალიძე**

მადიანი ბიჭია,
ეს პატარა გოჩა,—
გამოცალა ჭიქა რძე
დაიძახა:—მორჩა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაშლმა კბილი შეჭამა

**თინათინ ნადირაძე**

— გიგლა, კბილი დროზე უნდა ამოიძრო, თორემ ქვევიდან ახალი კბილი ამოდის, ძველი კი ხელს უშლის, — უთხრა დედამ ბიჭუნას.

— დედიკო, გეხვეწები, დღეს არა, და ხვალ უსათუოდ ამოვიძრობ კბილს.

გიგლა და დედა მაგიდას შემოუსხდნენ. უჭირდა ბიჭს ჭამა, კბილი უშლიდა ხელს, მაგრამ არ ამხელდა. საუზმის შემდეგ დედამ წითელი ვაშლი მიაწოდა. გიგლას ძალიან უყვარდა ვაშლი, მადიანად ჩაკბიჩა და მორყეული კბილი ვაშლში ჩარჩა. გიგლამ ტირილი დააპირა. მაგრამ როცა გაიფიქრა, კბილის ამოძრობა აღარ დასჭირდებოდა, გახარებულმა დედას შესძახა:

— დედა, დედიკო, ჩქარა მოდი, რა გაჩვენო, ვაშლმა კბილი შეჭამა!

## ყიყინი

**ჯანსუღ ნიქაბაძე**

ყბაბერია ბაყაყო,
ნეტავი რით ამაყობ?!
ეგ მუცელი ბაქიას
გაბერვია ტიკივით,
თქვი, შენს ყიყინს რა ჰქვია,
სიმღერა თუ ტირილი?!



## გამოცანა

არც ბუმბული, არც ნისკარტი,
არც ხეზე აქვს ბინა,
გულადია, ფრთებს არ არხევს
ცაში ისე ფრინავს!

**ილია აროსია**

ეს ყვავილი ფანქრის ერთი მოსმით დახატეთ ისე, რომ ფანქარი ერთხა და იმავე ხაზზე ორჯერ არ გაატაროთ.



შეადგინა აბაშის რაიონის სოფ. ეწერის IV კლასის მოსწავლემ თამაზ გერხამიამ.

## რებუსი



შეადგინა საჩხერის რაიონის ჯალაურთის რვაწლიანი სკოლის VII კლ. მოსწავლემ გია ბულაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა არ იღლება,
გია ოფლად იღვრება.



რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი სარედაქციო კოლეგია: გ. გეგეჭკორი, ქ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, მაყ. მრევლიშვილი, ჯ. ნინუა, ზ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ნ. წულეისკირი (რედაქტორის მოადგილე), რ. ჭეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის წითელ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ИНДЕКС 76055

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ზურაბ კაპანაძეს. ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეთვრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული", გამომც. შეკვ. № 157, სტამბის შეკვ. № 749, ტირაჟი 45.000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III 1965

ჟურნალი დაბეჭდილია პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში", ლენინის ქ. № 14 „ДИЛА" на грузинском языке. Тбилиси, просп Плеханова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09. ფასი 20 კაპ.